ალექსანდრე მელიქიძე •

რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლები რუსულ პოლიტიკურ ფილოსოფიასა და კონცეფციებში

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში შესწავლილია რუსეთის ფედერაციის ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური ფესვები და ამტკიცებს, რომ თანამედროვე რუსული რევიზიონიზმი ხანგრძლივი პოლიტიკურ-ფილოსოფიური ტრადიციების პირდაპირი პროდუქტია. ნაშრომი ფოკუსირებულია პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკური ვაკუუმიდან იმპერიული ამბიციების აღდგენაზე გადასვლის პროცესზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, კონსტანტინე ლეონტიევის, ნიკოლოზ ტრუბეცკოისა და ივან ილინის ნაშრომების ინსტრუმენტალიზაციის გზით ხორციელდება.

დოკუმენტების თვისებრივი ანალიზის გამოყენებით, ნაშრომი აჩვენებს, თუ როგორ მოხდა ლეონტიევის „ბიზანტიზმის“, ტრუბეცკოის „ევრაზიულობისა“ და ილინის „ძლიერი სახელმწიფოს“ კონცეფციების ინტეგრირება რუსეთის ოფიციალურ საგარეო პოლიტიკის კონცეფციებში (2000–2023). ეს ფილოსოფიური ჩარჩოები უზრუნველყოფს დასავლური ლიბერალური წესრიგის უარყოფის, „მრავალპოლარული“ ძალთა ბალანსის შექმნისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში „პრივილეგირებული ინტერესების სფეროს“ დამკვიდრების „ლოგიკურ“ დასაბუთებას. კვლევა ასკვნის, რომ საბჭოთა წარსულის რომანტიზება და „მუდმივი მტრის“ ხატის შექმნა აუცილებელ ინსტრუმენტებს წარმოადგენს შიდა კონსოლიდაციისა და

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში განხორციელებული ტერიტორიული ანექსიების ლეგიტიმაციისთვის, რაც სისტემურ გამოწვევას უქმნის გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურას.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის საგარეო პოლიტიკა, პოსტ-საბჭოთა სივრცე. ევრაზიულობა, ეროვნული უსაფრთხოება, ექსპან-სიონიზმი

შესავალი

საკვლევი თემა მოიცავს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლების ანალიზს. 70 წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირი აშშ-სთან ერთად ქმნიდა საერთაშორისო დღის წესრიგს. ათწლეულების განმავლობაში, სუპერსახელმწიფოს სტატუსის მქონე სახელმწიფომ, 1991 წელს დაკარგა თავისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, დაკარგა გავლენის სფეროები და სუპერსახელმწიფოს სტატუსის მქონე სახელმწიფოდან, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, საერთაშორისო არენაზე იქცა მეორეხარისხვან მოთამაშედ. დღესაც, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა უმრავლესობა ,,მისტირის'' საბჭოთა კავშირს, იქმნება კონსპირაციული თეორიები საბჭოთა კავშირის დაშლის დასავლურ გეგმაზე. დღესაც, მოსახლეობის უმრავლესობა საბჭოთა კავშირის დაშლას დიდ შეცდომად მიიჩნევს. ნოსტალგიური დამოკიდებულების ერთ ერთი მიზეზი ისაა, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი, მიზანმიმართულად არ ცდილობს დაშლის ობიექტური მიზეზების წარმოჩენას: გაბატონებული გერონტოკრატია, იდეოლოგიზირებული და სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე დამოკიდებული ეკონომიკა, წარუმატებელი საგარეო ინტერვენციები და ამ ინტერვენციებში დახარჯული თანხები (ავღანეთის ომი), სოციალისტური ბანაკისათვის უსასყიდლოდ გადაცემული ფულადი და სამხედრო დახმარებები და ა. შ. რუსი ხალხის ცნობიერებაში საბჭოთა კავშირის რომანტიზირებით იგებს ამჟამინდელი პოლიტელიტაც, ამით აღარ დგება დღის წესრიგში

დემოკრატიული ცვლილებების აუცილებლობა. უფრო ადვილია მტრის ხატის შექმნა და ამ აბსტრაქტული მტრის ხატის პირობებში ერის კონსოლიდაცია ლიდერის ირგვლივ.

1999 წლის 30 დეკემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში ,,რუსეთი ათასწლეულის მიჯნაზე'' პუტინი მკაფიოდ აფიქსირებს შემდეგს ,,რუსეთი იყო და დარჩება დიად სახელმწიფოდ''. ამასთანვე, ამავე სტატიაში წარმოჩნდა მისი მმართველობის ძირითადი კონტურები: ,,ძლიერი სახელმწიფო რუსისათვის არ წარმოადგენს ანომალიას'' (Путин, В. 1999). საზოგადოებაში გაჩნდა ერის მუხლებიდან ადგომის და ძველი დიდების დაბრუნების განცდა.

შეიძლება ითქვას, რომ ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმის კრახის შემდეგ, 90-იან წლებში, რუსეთში შექმნილი პოლიტიკური და სოციალური ვაკუუმის შევსება პუტინმა დაიწყო ნაციონალურ ინტერესებსა და ნაციონალურ დიდებაზე აპელირებით. 2000 წლის რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში, რუსეთმა მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პრივილეგირებული ინტერესების ზონა. პირველად, ღიად არის დაფიქსირებული უკმაყოფილება აშშ-ს ეკონომიკური და ძალისმიერი დომინირებით მსოფლიოს ერთპოლუსიანი სტრუქტურის შექმნის გაძლიერების ტენდენციის მიმართ. კონცეფციაში დეკლარირდა რუსეთი, როგორც უდიდესი ევრაზიული ზესახელმწიფო. კონცეფციის მიხედვით, უმთავრესს ინტერესს სფეროდ გამოცხადდა დსთ-ს წევრ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება, ამ სახელმწიფოების მზაობის აუცილებლობით, გათვალისწინებულ იქნას რუსეთის ფედერაციის ინტერესები. მათ შორის, რუსეთის მოსახლეობის უფლებების გათვალისწინება ამ სახელმწიფოებში. (რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეპცია, 2000).

სიმბოლურია, რომ 2001 წელს პუტინმა დააბრუნა საბჭოთა ჰიმნი. 2003 წლის 16 მაისს, რუსეთის ფედერაციის ფედერალურ საბჭოსთან გზავნილში, პუტინმა კიდევ ერთხელ პოსტსაბჭოთა

სივრცე, სტრატეგიული ინტერესების სფეროდ გამოაცხადა (გზავნილი ფედერალურ საბჭოს, 2001) ხოლო 2005 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლას საუკუნის უმსხვილესი კატასტროფა უწოდა (გზავნილი ფედერალურ საბჭოს, 2005) რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ვერ ეგუება საბჭოთა კავშირის დაშლას და კავშირში შემავალი სახელმწიფოების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას. როგორც 2004 წლის 19 იანვარს, კომსომოლსკაია პრავდაში გამოქვეყნებულ სტატიაში კრემლთან დაახლოებული პოლიტოლოგი ბელკოვსკი წერდა: ,,ჩვენს ნაციას ერთიანი ბედისწერა აქვს - იმპერიული'' (Белковский. С. 2004). 2008 წელს მედვედევმა პოსტსაბჭოთა სივრცე, რუსეთის პრივილეგირებული ინტერესების სფეროდ გამოაცხადა (იმავე წლის რუსეთის ფედერაციის საგარეო კონცეფციაში დეკლარირებული იყო რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულება ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით, კერძოდ, უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღების გეგმასა და რუსეთის სახელმწიფო საზღვრებთან ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის მიახლოების თაობაზე.

თემა აქტუალურია, იმდენად რამდენადაც პუტინის რუსეთი არ განთავისუფლდა იმპერიული ამბიციებისაგან, რაც პირდაპირ ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის მის მეზობელ სახელმწიფოებს, რადგან ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი რუსეთისათვის არ წარმოადგენს წონად ფაქტორს. ამის მაგალითია უკრაინა, საქართველო, მოლდოვა.

პუტინი წარმატებით იყენებს მტრის ხატის პოლიტიკას, სადაც რატომღაც ყველა ებრძვის რუსეთს, ყველას სურთ მისი დამარცხება, ნებისმიერი სამართლებრივი აქტი თუ ქმედება პოსტსაბჭოთა ქვეყნების მხრიდან რუსული გავლენების შეზღუდვის მიზნით, ფასდება რუსოფობიად. ამასთანავე, რუსეთი ახერხებს ნებისმიერი შიდა პრობლემების პირობებში, საგარეო ინტერვენციის გამოყენებას ამ პრობლემების გადასაფარად. 2008 წლის აგვისტოს ომისა და 2014 წლის ყირიმის ანექსიის წინ, ნავთობზე ფასების

ვარდნისა გართულებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობ-ის პირობებში, პუტინის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, მაგრამ ამ სა-გარეო ინტერვენციების შემდეგ მისმა რეიტინგმა ისტორიულ მაქ-სიმუმს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არსებითად არც შეცვლილა. ამასთანვე, რუსეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველმა ყველანარი საერთაშო-რისო ნორმების უგულებელყოფის პირობებში თვითნებურად შეც-ვალა ევროპის პოლიტიკური რუკა, რითაც გააჩინა დესტაბილიზა-ციის ზონები (უკრაინა 2014; 2022). რუსეთი არ აღიარებს მეზობელი სახელმწიფოების მოსახლეობის სუვერენულ უფლებას დამოუკი-დებლად განსაზღვროს თავისი ქვეყნის საგარეო ორიენტაცია: აირ-ჩიონ კონკრეტული ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო ალიანსი, თავისი ეკონომიკური კეთილდღეობისა და პოლიტიკური სტაბილურობის მიზნით, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის ამ ქვეყნების შემდგომ განვითარებას. რუსეთს შექმნილი აქვს თავისი ორგანიზაციები, რითაც ცდილობს პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეინ-ტეგრაციას ერთიან სივრცეში, თუმცა ამ შემთხვევაშიც, ეს რეინ-ტეგრაციაც მუქარისა და ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედების პოლიტიკას ეფუძნება. ამ პირობებში, ბუნებრივია აქტუალურია რუსეთის პოლიტიკის სიღრმისეული შესწავლა პოსტსაბჭოთა სივ-რცეში, რადგან მხოლოდ რუსეთია ერთადერთი სახელმწიფო, რო-მელიც აქტიურად იყენებს ყველა შესაძლო მექანიზმს ,,ახლო საზ-ღვარგარეთის'' სახელმწიფოებზე გავლენის დააბრუნების მიზნით და შესაბამისად ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია თვითნებურად შეცვალოს მეზობელი სახელმწიფოების პოლიტი-კური რუკა.

რიგ შემთხევებში, დასავლეთის მხრიდან ვერ ხდება პუტინის პოლიტიკის სათანადო შეფასება. თუ დასავლეთში გეოპოლიტიკამ თავის მნიშვნელობა დაკარგა, პუტინის რუსეთი ზუსტადაც გეოპო-ლიტიკური საზომებით მოქმედებს, ის თავის საგარეო პოლიტიკას აფუძნებს ძალთა ბალანსსა და ,,პრივილეგირებული ინტერესების

ზონებზე. პუტინის გეოპოლიტიკური პრაგმატიზმი შეიძლება შეფასდეს, როგორც კონტრრევოლუციური და რევიზიონისტული, რომლის მიზანს საგარეო პოლიტიკაში, წარმოადგენს 1990 წლების ,,ისტორიის დასასრულის'' შედეგების გადახედვა და მსოფლიო არენაზე რუსეთის მიერ დაკარგული პოზიციების დაბრუნება, რაც უშუალოდ გადის პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობაზე. შესაბამისად, ამ სახელმწიფოებისათვის დღეს ყველაზე დიდ ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის პოსტმოდერნული იმპერია და მისი ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობაში სრული მხარდაჭერა აქვს. (პუტინის რეიტინგის ზრდა ყირიმის ანექსიის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ).

იმისათვის რათა აგვეხსნა ის იდეოლოგიური წანამძღვრები, რომლებიც საფუძვლად უდევს რუსეთის პოლიტიკურ კულტურსა და თანამედროვე რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამ მიზნით, დავეყრდენით რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციების, სლავიანოფილობისა და ევრაზიელობის მიმდევარი მეცნიერების ფუნდამენტურ ნაშრომებს, ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია აღნიშნულ ავტორთა იმ ფუნდამენტურ თეზისებზე, რომლებიც თანამედროვე რუსული ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის **იდეოლოგიურ ლეგიტიმაციას** ახდენს. კვლევა მიზნად ისახავს მკითხველს წარმოუჩინოს ის **ლოგიკური კონსტრუქციები**, რომლებიც საფუძვლად უდევს მეზობელი სახელმწიფოების ანექსიისა და ოკუპაციის პოლიტიკას, ისევე როგორც დასავლური სამყაროსადმი არსებულ ანტაგონისტურ დამოკიდებულებას.

თანამედროვე რუსეთის ველიკოდერჟავული პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლების კვლევისას, ვეყრდნობით მეცნიერებათა დოქტორის, სორბონას უნივერსიტეტის პროფესორის მიშელ ელჩანინოვის წიგნში *,,პუტინის თავში''* სიღრმისეულად გაანალი-

ზებული რუსეთის თანამედროვე ნაციონალური დოქტრინის ფუნ-დამენტურ ასპექტებს. კერძოდ, ავტორი დასძენს, რომ რუსეთში ჩა-მოყალიბებული ახალი ნაციონალური დოქტრინა პირობითად დაიყვანება ტრიადამდე: *კონსერვატიზმი, თეორია განსაკუთრებუ-ლი „რუსული გზის"* შესახებ, რომელიც მოდის *სლავიანოფილები-საგან* და *ევრაზიელობა.* ელჩანინოვი თვლის, რომ ივან ილინის, კონსტანტინე ლეონტიევის, ნიკოლაი დანილევსკის, ნიკოლოზ ტრუბეცკოის ნააზრევების შესწავლა აუცილებელია, რადგან დღეს ზუსტად მათი იდეები განსაზღვრავენ პუტინის მსოფლმხედველო-ბას (Eltchaninoff, M. 2016).

სტატიაში წარმოდგენილი იქნება რუსული კონსერვატიზმის, ევრაზიელობის ის ძირითადი ნაშრომები, სადაც ნათლად წარმოჩ-ნდება ავტორების დამოკიდებულებები სახელმწიფო წყობის, ისტო-რიული წარსულის, დემოკრატიის შესახებ. ამ სტატიაში აქცენტს ვა-კეთებთ ნაშრომების იმ ასპექტებზე, სადაც ვლინდება ამ ავტორე-ბის აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება დასავლეთისადმი. წინამ-დებარე სტატიაში გაანალიზებული რუსი ფილოსოფოსების შრო-მები მიზნად ისახავს, იმის წარმოჩენას, რომ თანამედროვე რუსე-თის ანტიდასავლური საგარეო პოლიტიკა, ლიბერალური დემოკ-რატიის მიუღებლობა არის არა ერთი ცალკეული ლიდერის ახი-რება, არამედ წარსულში ღრმად ფესვგადგმული ანტიდასავლუ-რობის ლოგიკური გაგრძელება.

ივან ილინი რუსული პოლიტიკური კულტურის შესახებ

ივანე ალექსანდრეს ძე ილინი(1882-1954) იყო გამორჩეული რუსი ფილოსოფოსი, მწერალი და რელიგიური მოაზროვნე. ივან ილინის ნაშრომი ,,ჩვენი ამოცანები'' მიჩნეულია რუსული კლასი-კის გამორჩეულ ნაწარმოებად. ეს ნაშრომი წარმოადგენს თავისებურ მანიფესტს ეროვნული, ნაციონალური თვითშეგნებისა და მოვალე-ობის. ამ ნაშრომში გადმოცემულია ავტორისეული თვალსაზრისით

სულიერი აღორძინებისა და რუსული სახელმწიფოებრიობის გაძ-ლიერების პროგრამა. მოცემული ნაშრომის ფარგლებში საინტერე-სო ამ ნაწარმოების გაანალიზება, იმდენად რამდენადაც აქ პასუხი ეცემა ისეთ კითხვებს როგორიცაა საიდან მოდის რუსეთი, რა არის რუსეთის სახელმწიფოებრიობისათვის საციცოცხლოდ აუცილებე-ლი და რა გზების გავლა მოუწევს მას, რათა გადარჩენს როგორც ,,დერჟავა'', ცალკე აღებული ცივილიზცია და არა, როგორც სამარ-ცხვინო ანარეკლი დასავლური ცივილიზაციის. ნაშრომი საინტერე-სოა იმითაც, რომ ავტორისეული რიგი პროგნოზები რუსეთის მო-მავლის შესახებ, გაკეთებული 70 წლის წინ, მაღალი სიზუსტიდ და-ემთხვა თანამედროვე რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას.

საინტერესოა ილინის მსჯელობები რუსეთის მომავალი პო-ლიტიკური წყობის შესახებ, ის გამოდის აქტიურ კრიტიკოსად საბ-ჭოთა მართველობის, თუმცა ამავე დროს, ის ასევე აკრიტიკებს დე-მოკრატიას. მისი აზრით, განვლილ ათწლეულებს იმ მიამიტური პოლიტიკური ოპტიმიზმისაგან უნდა განეკურნა ხალხი, რომელიც ჟან ჟაკ რუსოსს მიერ იქნა შთაგონებული და რომელმაც დაბადა კიდეც საფრანგთის დიდი რევოლუცია. ,,ადამიანი ბუნებით არის კეთილი და ის მხოლოდ უნდა გავანთავისუფლოდ და შედეგად ყველაფერი დალაგდება თავისით ''ეს არის წინაპირობა, რაზეც თავის პროგრამებს აწყობდნენ როგორც ანარქისტები, ისე ლიბე-რალები და დემოკრატები მე-19 საუკუნეში. ილინის აზრით, ადამი-ანური თავისუფლების ეს მიამიტური ოპტიმიზმი დამახასიათებე-ლია ყველა ზემოხსენებული იდეოლოგიებისათვის მეტ-ნაკლებად (Илин, И. 2008. ст. 26).

თავისი მოსაზრების განსამტკიცებლადნ ილინს მაგალითად მოყავს საფრანგეთის დიდი რევოლუცია, მისი აზრით, თითქოსდა ამ რევოლუციის გამოცდილება უდა ყოფილიყო საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ პოლიტიკური თავისუფლება ადამიანს არა-თუ ,,აკეთილშობილებს'', არამეთ ხელებს უხსნის, თავისუფლებაზე უშვებს ადამიანს ისეთს, როგორიც ის სინამდვილეში არის, თავისი

მიდრეკილებეით, ინტერესებით, ვნებებითა და მანკიერებებით. 150 წლის განმავლობაში მთელი პოლიტიკური განვითარების ისტორიულ რეტროსპექტივას (კაპიტალიზმი და დემოკრატია) თითქოსდა უნდა გაექარწყლებინა მიამიტური და სენტიმენტალური წინაპირობა ასეთი ოპტიმიზმის. ავტორის აზრით, ამ გამოცდილებამ არა ორაზროვნად ანახა ადამიანის ბუნების რეალური სახე, შეიძლება ითქვას ილინი ხაზს უსვამს ადამიანის ორბუნებიანობას, ორ საწყისს: არა მხეცი, მაგრამ მიდრეკილი მხეცობისაკენ, ვნებებით აღსავსე, თუმცა ხანდახან სიკეთისაკენაც მიდრეკილი, ხარბი, მაგრამ ნამუსისაგან არა მთლად დაცლილი, ხშირ შემთხვევაში არამყარი დამოკიდებულებებში, მეწვრილმანე და მხდალი (Илин, И. 2008. ст.26).

თავისუფლება ილინის აზრით, ადამიანს არ გარდაქმის უკეთესობისაკენ, პირიქით ის ავლენს მის ყველა მანკიერ თვისებას, თავისი გადახრებითა და მისწრაფებებით. ,,გაანთავისუფლო ის - არ ნიშნავს გახადო ის შინაგანად უნარიანი ატაროს გარე თავისუფლება და ამავდროულად, არ გადააქციოს ეს თავისუფლება თავგასულობად. ტყუილად ამტკიცებდა ანარქისტი კროპოტკინი, თითქოს ადამიანი ცუდია იმიტომ, რომ მას თრგუნავს სახელმწიფო კანონები, და თითქოსდა იმ წამსვე, როგორც კი სახელმწიფო, კანონები და ხელისუფლება გაქრება, განხორციელდება თავისუფალი, სოლიდარული და ჰარმონიული თანაცხოვრება ადამიანების'' (Илин, И. 2008. ст.26).

თავისუფლებაში ილინი გულისხმომს პირველ რიგში, შინაგან თავისუფლებას. ამ შინაგან თავისუფლებაში, იგულისხმება ადამიანის სულიერი, ზნეობრივი და პოლიტიკური ნებისყოფა. იგულისხმება ადამიანის უნარი გაარჩიოს სიკეთე ბოროტებისაგან, დათრგუნოს თავის თავში დანაშაული და ნებაყოფლობით ლოიალურბა გამოიჩინოს კანონის დაცვაში; ილინი იგივე ლიბერალიზმისაგან განსხვავებით, ინდივიდუალიზმზე მაღლა აყენებს სახელმწიფოს, მას მიაჩნია ეს მოცემულობად და აუცილებლობად,

რომ ადამიანმა მზაობა გამოთქვას საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენოს სამშობლოსა და სახელმწიფოს ინტერესები. შინაგანი თავისუფლებისაკენ ეს სწრაფვა ადამიანებში პატარაობიდანვე უნდა ისწავლებოდეს, გადაეცემოდეს თაობიდან თაობაში და უნდა მოიცვას ყველა კლასი, როგორც ინტელიგენცია, ისე მუშათა კლასი და გლეხობა (Илин, И. 2008. ст.28).

ილინი მიუღებლად თვლის მმართველობის ფორმად როგორც ტოტალიტარიზმს, ისე დემოკრატიას, კითხვისნიშნის ქვეშ დგას თვით საყოველთაო ხმის მიცემის სისტემა დემოკრატიებში, იმდენად რამდენადაც ის თვლის, რომ, უმეტეს საკითხებში ადამიანი არაკომპეტენტურია და ბუნებრივია ხმის მიცემისას ეს არაკომპეტენტურობა უარყოფითად აისახება სახელმწიფოზე. ადამიანი ვერ ერკვევა იმაში თუ რა არის რეალურად კარგი ან საზიანო სახელმწიფოსა და ხალხისათვის. ყველა შემთხვევაში ხმის მიცემის ეს პროცედურა მოქალაქის მხრიდან არის ან მისი დაუფიქრებლობის, გაუაზრებლობის შედეგი ან ემსახურება სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ თავისი კერძო ინტერესების დაცვას. მეორე მხრივ, ადამიანი, რომელიც მიდის ხმის მისაცემად, თავის თავში მოიცავს რთულ შემადგენლობას: აქ არის როგორც წამგლეჯი, მიმთვისებელი, ისე პატრიოტი და მოქალაქე. როგორც კეთილსინდისიერი, ისე კარიერისტიც. საბოლოოდ, კი არც თუ ისე იშვიათად ეს ,,სირთულე'' მარტივდება და ხმის მისაცემად მიდის უბრალოდ ცბიერი წამგლეჯი. *დასავლური დემოკრატია* არის-ფორმალური: მას სწამს ხმის მიცემის თავისუფლების, რომელიც თითქოსდა წარმოადგენს საუკეთესო დამრიგებელსა და ,,წმინდა უფლებას'': თითოეულ ადამიანს ჰქონდეს უზრუნველყოფილი ხმის მიცემის უფლება, თუმცა დემოკრატია არ ითვალისწინებს, რომ ეს ხმა შეიძლება იყოს კარიერისტის, კლასობრივი მომთხოვნის, უსინდისო ბოროტმოქმედის, საბოლოო ჯამში კი, ამ ხმების ჯამმა შეიძლება სულ სხვა სურათი ანახოს. ამ მხრივ, ილინს მიამიტობად მიაჩნია ჟან ჟაკ რუსოს მოსაზრება, რომ თითქოსდა უკიდურესობები მოცილდება

და არასდროს შემცდარი საზოგადოებრივი ნება იქნება გარკვეული (Илин, И. 2008. ст.24).

ილინი სვამს კითხვას კარგია კი გაუთანაბრო პატიოსანი ადამიანის ხმა მოღალატის ხმას, პოლიტიკური ბრძენის მოსაზრება კარიერისტის მოსაზრებას და ავტორი პასუხობს კიდეც, რომ ეს გზა *ფორმალური დემოკრატიის*, არის არასწორი და საფრთხის შემცველი, ხოლო რუსეთის მომავლისათვის კი ის უცილობლად დამღუპველია. შესაბამისად, საჭიროა სხვა გზების ძიება. ის უარყოფს როგორც *ტოტალიტარულ დიქტატურას* ისე *ფორმალურ დემოკრატიას*. თუმცა ამ ფორმულირებებშიც ვლინდება ახალი გაგება, რომელიც შეიძლება საორიენტაციოდ გამოყენებულ იქნას რუსი ხალხის მიერ ახალი პოლიტიკური წესრიგის, პოლიტიკური ფორმების შექმნის საქმეში (Илин, И. 2008. ст.27):

1. დიქტატურა, არც ინტერნაციონალური, არც ტოტალიტარული და არც კომუნისტური. დიქტატურა, რომელიც ორგანიზებას გაუწევს ახალ არაფორმალურ დემოკრატიას და შესაბამისად, იქნება დემოკრატიული დიქტატურა; არა დემაგოგიური და გახრწნილი, არამედ სახელმწიფოებრივი, მომწესრიგებელი და საალმზრდელო; არა თავისუფლების ჩამქვრელი, არამედ ,,ნამდვილი'' თავისუფლების მსწავლელი.

2.დემოკრატია, მაგრამ არა ფორმალური, არა არითმეტიკული. დემოკრატია, რომელიც ფსონს დებს არა ადამიანის ატომზე, დემოკრატია, რომელიც გულგრილი არაა ადამიანის შინაგან არათავისუფლების, არამედ დემოკრატია, რომელიც ფსონს დებს მის მიერ აღზრდილ, თვითმმართველ, შინაგანად თავისუფალ მოქალაქეზე. ხარისხობრივი, პასუხისმგებლიანი და ხალხის სამსახურში მდგომი დემოკრატიის საარჩევნო უფლებით, გაგებული და განხორციელებული ახლებურად. ერთ-ერთ ალტერნატივად ილინს, მაგალითად მოყავს სუფთა რუსული სახალხო მონარქია. მას ღრმად სწამს, რუსეთს სჭირდება რაღაც ახალი, სხვაგვარი და რუსი ხალხი ამას აუცილებლად შექმნის.

ილინისათვის მესამე გზა შეიძლება ითქვას არის ამ ორი უკიდურესობის: ფორმალური დემოკრატიისა და ტოტალიტარული რეჟიმების გარკვეული მახასიათებლების სინერგია. სახელმწიფო თავისი ,,სრულფასოვნების'' პირობებში ერთმანეთთან ათავსებს, როგორც კორპორაციის ისე დაწესებულების ნიშან თვისებებს. ის შენდება, როგორც ქვევიდან-თვითმართველობის პრინციპით, ისე ზევიდან- სახელისუფლებო მეურვეობის პრინციპით.

ილინის აზრით, მომავალ რუსეთს მოუწევს იპოვოს თავისთვის - განსაკუთრებული, ორიგინალური სახელმწიფოებრივი ფორმა, ისეთი შეხამება ,,დაწესებულებისა'' და ,,კორპორაციის'', რომელიც სათანადო იქნება რუსებისათვის, შესაბამისი იქნებოდა მათი ნაციონალური ისტორიული მონაცემების, დაწყებული რუსეთში რევოლუციური მართლშეგნებიდან და დამთავრებული ეროვნული ტერიტორიით. ამ გამოწვევების პირობებში, საზღვარგარეთიდან მოწოდებები ფორმალური დემოკრატიისადმი ილინისთვის არის მიამიტური, ქარაფშუტული და უპასუხისმგებლო (Илин, И. 2008. ст.34).

ილინს ღრმად სწამს რუსეთის აღორძინების და მისი აზრით, ეს აღორძინება უნდა დაეფუძნოს ღრმა და დიად რუსულ ტრადიციებს, ღმერთის იდეის ხელმეორედ გააზრებას და ,,როცა დასავლეთელი ხალხები გვისვამენ კითხვას, რატომ ვართ ასე შეურყევლად დარწმუნებულები რუსეთის მომავალი აღორძინებისა და აღდგენის, ჩვენ ვპასუხობთ: რადგან ჩვენ ვიცით რუსეთის ისტორია, რომელიც არ იცით თქვენ, და ვცხოვრობთ მისი სულით, რომელიც თქვენთვის უცხო და მიუწვდომელია''(Илин, И. 2008. ст. 38).

საუბრობს რა ევროპაზე რუსეთის მომავლის კონტექსტში, ილინი თვლის, რომ ევროპელებმა არ იციან რუსეთი, არ გრძნობენ რუსულ სულს, ვერ წვდებიან მის ბედს, არ ითვალისწინებენ რუსეთის სივრცესა და კლიმატს და მისი ეშინიათ. ფანტაზიორობენ, ცილისმწამებლობენ. მისი ეშიანიათ და არ უყვართ (Илин, И. 2008. ст. 49)

ევროპა და კაცობრიობა

ტრუბეცკოის ნაშრომი ,,ევროპა და კაცობრიობა'', გამოიცა 1920 წელს, ის იქცა თავისებურ ევრაზიელობის კატეხიზისათ. ამ ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს მოწოდება ,,ფასეულობათა გადაფასებისაკენ'', განაზრებანი არსებული პრობლემების ახლებურად ხედვის კულტურაში, პროგრესსა და ისტორიაში.

მიუხედავად ყველაფრისან რიგი ხალხები მაინც ცდილობენ ევროპეიზაციას. თუმცა ტრუბეცკოის აზრით, ასეთი ხალხების ხვედრი არ არის სახარბიელო, რამდენადაც ევროპეიზაციის პროცესი მიმდინარეობს არათანაბარზომიერად, ეს იწვევს სერიოზულ წინააღმდეგობებს თვით ამ ხალხის, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების შიგნით: მამებსა და შვილებს, ელიტასა და სახალხო მასებს, სოციალურ ჯგუფებსა და კლასებს შორის, რაც თავის მხრივ ერი მიყავს ,,ნაციონალური ერთობის განადგურებასთან, ევროპეიზირებული ხალხის ნაციონალური სხეულის დანაწევრებასთან'' (Трубецкой, Н. 1920. ст. 62).

ევროპეიზირებულ ხალხს უქრებათ პატრიოტიზმის გრძნობა, ის იწყებს თავისი თვითმყოფადის, ნაციონალურის შეძულებას. ასეთი ხალხი იძულებულია ევროპელი ხალხების მუდმივად დაწევის (догонять) რეჟიმში იყოს და შესაბამისად, მისი ისტორია ,,შედგება ამ მუდმივი ცვლილებების მოკლე პერიოდებისა სწრაფი ,,პროგრესის'' და მეტ ნაკლებად გრძელი პერიოდების ,,უძრაობის''''. საბოლოოდ, ევროპეიზირებული ხალხი, რომელიც დგება მსგავსი ცვალებადი ევოლუციის გზაზე, ,,უცილობლად დაიღუპება, დახარჯავს რა თავის ნაციონალურ ძალებს უმიზნოდ'' (Трубецкой, Н. 1920. ст. 69).

ტრუბეცკოის მიხედვით, რუსეთის ბედი, მისი წარუმატებლობა და დაცემა, დიდად განპირობებულია ევროპეიზაციის პროცესით, რომელშიც ის იქნა ჩათრეული. ,,რუსეთისათვის მთელი მე-18 საუკუნე გაილია უღირსს, ზედაპირულ მაიმუნობაში ევროპას-

თან. ამ საუკუნის დასასრულს რუსული მაღალი საზოგადოების ჭკუა უკვე გაიჟღინთა რომანო-გერმანული ცრუ რწმენებით, და მთელი მე-19 საუკუნე და მე-20 საუკუნის დასაწყისი გაილია რუსული ცხოვრების ყველა მხარის სრული ევროპეიზაციის მისწრაფებაში" (Трубецкой, Н. 1920. ст. 78).. მსგავსმა ,,ცვალებადმა ევოლუციამ" წარმოშვა ბევრი ნეგატიური შედეგი რუსული საზოგადოებისათვის. საბოლოოდ, ავტორი განიხილავს რა ევროპეიზაციის პროცესს, როგორც უდიდეს ბოროტებად, მოუწოდებს ყველას, ყველა შესაძლო ხერხებით ხელი შეუშალონ ამ პროცესს, ამ მხრივ ის დიდ იმედებს ამყარებდა რუსულ ინტელიგენციაზე, რომელიც მისი აზრით, ასევე როგორც სხვა ევროპეიზირებული ხალხების ინტელიგენცია უნდა განთავისუფლებულიყო თავს მოხვეული რომანო-გერმანული იდეოლოგიისაგან, რამეთუ ,,ევოპეიზაცია წარმოადგენს უდაო ბოროტებას ყველა არა რომანო-გერმანული ხალხებისათვის" (Трубецкой, Н. 1920. ст. 79-81).

ტრუბეცკოის მიზანია, გასცეს პასუხი კითხვას რუსული მიწის წარმოშობის შესახებ, ამ მხრივ მას შემოაქვს რუსული მიწის გაგებაში ახალი გეოგრაფიული, სამეურნეო და პოლიტიკური შემადგენელი. ტრუბეცკოი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თითქმის მთელი ტერიტორია თანამედროვე საბჭოთა კავშირის, როდესღაც ჩინგიზ ყაენის მიერ შექმნილი მონღოლური მონარქიის ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო რაც შეეხება ტერიტორიებს, რომელიც შემოერთებულ იქნა პეტრეს შემდგომ ეპოქაში, ესენია: ფინეთი, პოლონეთი, ბალტიის პროვინცია, არც არასდროს შედიოდა მონღოლური იმპერიის შემადგენლობაში. შესაბამისად, ტრუბეცკოი ამ ტერიტორიებს რუსეთის ორგანულ ნაწილადაც არ განიხილავს, რადგან თვლის, რომ არც ისტორიული და არც ბუნებრივი სახელმწიფოებრივი კავშირი ამ ტერიტორიებს რუსეთთან არ ქონდათ. ნიშანდობლივია, რომ თუ დღევანდელი რუსეთის საგარეო პოლიტიკას გადავხედავთ, ვნახავთ რომ თანამედროვე რუსეთის პოლიტელიტა ახალი ევრაზიული სივრცის შექმნისას არ ისახავს მიზნად ამ პრო-

ექტში ზემოხსენებული სახელმწიფოების ინტეგრაციას და ეს რეინ-ტეგრაციული პროცესები ეხება მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომელიც ისედაც ითვლებოდნენ რუსული იმპერიის განუყოფელ ნაწილებად.

ტრუბეცკოი ტოლობის ნიშანს არ სვამს ჩინგიზ ყაენის მონარქიასა და რუსეთს შორის, პირველრიგში, იმპერიული საზღვრების გამო. თუ ჩინგიზ ყაენისა და მისი შთამომავლების მონარქიაში შედიოდა თითქმის მთელი აზია, რუსეთის შემთხვევაში ეს ასე არ არის, თუმცა ავტორი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს შესაძლებელი გახდებოდა, ნეგატიურად აისახებოდა რუსეთზე, იმდენად რამდენადაც, ის დაკარგავდა ძირფესვიანად თავის ისტორიულ სახეს. თუმცა მათ აქვთ საერთო ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: ისტორიულ მემკვიდრეობითობაში რუსეთი შეიძლება არ არის ჩინგიზ ყაენის მთელი მონარქია, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის არის ამ მონარქიის ძირითადი ბირთვი, და ეს ბირთვი გამოირჩევა ჩინგიზ ყაენის მონარქიის სხვა ნაწილებისაგან განსაკუთრებული გეოგრაფიული ნიშან-თვისებებით (Трубецкой, Н. 1906. ст. 224).

როდესაც ტრუბეცკოი საუბრობს ევრაზიის ერთიანობაზე, ამ ერთიანობის უპირველეს მტკიცებულებად მიაჩნია გეოგრაფიული და ანთროპოლოგიური მსგავსება. ასე, მაგალითად ის გამოყოფს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმულ ოთხ პარალელურ გეოგრაფიულ ზოლს: *ტუნდრის, ტყის, სტეპისა* და *მთის*. ხოლო მერიდიანული მიმართულებით, ანუ ჩრდილოეთიდან სამხრეთით ან პირიქით, ეს ოთხი ზოლის სისტემა იკვეთება *დიდი მდინარეების სისტემებით*. ამასთანვე, კლიმატურადაც ეს ტერიტორია განსხვავდება როგორც ევროპისაგან, ისე საკუთრივ აზიისაგან, ეს კლიმატური პირობები შეიძლება ავსახოთ, როგორც ,,კონტინენტალური კლიმატი''. შესაბამისად, ტრუბეცკოის აზრით, ყველაფერი ერთად აღებული საშუალებას იძლევა გამოვყოთ ეს ტერიტორია, როგორც ევროპისაგან, ისე აზიისაგან და ჩავთვალოთ ის განსაკუთ-

რებულ მატერიკად, რომელსაც შეიძლება დავარქვათ *ევრაზია*. ანთროპოლოგიურად მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა არაერთგვაროვანია და მიეკუთვნება სხვადასხვა რასებს, სახისა და აღნაგობის გარეგნული ანთროპოლოგიური ტიპი არსებითად არ განსხვავდება. აქედან გამომდინარე, ტრუბეცკოი ასკვნის, რომ მთლიანად ევრაზია ზემოხსენებულიდან გამომდინარე წარმოადგენს გეოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ ერთგვარ მთლიან ერთიანობას... ამ ყველაფრის წყალობით ევრაზია თავისი ბუნებით არის განკუთვნილი სახელმწიფოებრივი ერთიანობის შექმნისათვის... (Трубецкой, Н. 1906. ст. 222).

ტრუბეცკოის აზრით, ,,ევრაზიის სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო თავიდანვე ისტორიულად აუცილებელი'' (Трубецкой, Н. 1906. ст. 220) და ზუსტად აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ჩინგიზ-ყაენმა დაიპყრო რა ევრაზია და სახელმწიფოებრივად გაერთიანა, მან ამით ჩაიდინა ისტორიულად აუცილებელი საქმე, განახორციელა რა თვით ბუნებით ნაკარნახევი ისტორიული ამოცანა და მხოლოდ ევრაზიაში წარმოდგა ჩინგიზ ყაენი, როგორც ისტორიული მისიის განმახორციელებელი, როგორც ,,ისტორიულად ღირებული შენობის შემოქმედი და ორგანიზატორი''. დროთა განმავლობაში, ეს ერთობა იშლებოდა, თუმცა ტრუბეცკოის შეხედულებით, რუსული სახელმწიფოებრიობა იღვწოდა და იღვწვის რა ამ ერთობის აღდგენისაკენ, ამიტომაც ის წარმოადგენს მემკვიდრესა და გამგრძელებელს ჩინგიზ ყაენის ისტორიული საქმის (Трубецкой, Н. 1906. ст. 224).

ის, რასაც ტრუბეცკოი ისტორიულ მისიად თვლის და მისთის ამ სივრცის გაერთიანება ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში წარმოადგენს უმაღლესს მისიას, ასევე ძალზედ მისაღებია დღევანდელი რუსეთის პოლიტელიტისათვის, რომელიც ზუსტად, მსგავსი პათეთიკური მიზნების ეგიდით ცდილობს ევრაზიულ სივრცეში უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების რეინტეგრაციას, თუმცა ის რაც ტრუბეცკოისთვის წარმოადგენდა უმაღლეს სიკეთესს, დღეს ამ

სივრცეში მდებარე დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის მსგავსი იდეის რეალიზება ფასდება როგორც სხვა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უგულებელყოფა.

ტრუბეცკოი თვლის, რომ რუსულ სასწავლო წიგნებში მოყვანილი ფაქტები თითქოსდა რუსი ხალხის მიერ მონღოლური უღლის დამხობის შესახებ, არის ტყუილი, რადგან ასეთი რამ არც არასოდეს ყოფილა. თვით *კულიკოვის ბრძოლის* შემდეგაც კი, რუსეთი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში უხდიდა ხარკს მონღოლებს და მისი აზრით აქედან გამომდინარეობს, რომ რუსეთი რჩებოდა მონღოლური სახელმწიფოს ნაწილად. მეტიც, ტრუბეცკოი ხაზგასმით საუბრობს იმაზე, რომ რუსული სახელმწიფოებრიობა ევრაზიის ტერიტორიაზე, წარმოადგენს ჩინგის ყაენის სახელმწიფოს პირდაპირ მემკვიდრეს. ამასთანავე, ,,მოსკოვის ,,ამაღლება'' (возвышение) და რუსული სახელმწიფოებრიობის შექმნა წარმოადგენდნენ იმ ფსიქოლოგიური პროცესების შედეგს, რომლებიც წარმოიშვნენ თვით მონღოლების მიერ რუსეთის დაპყრობის ფაქტიდან'' (Трубецкой, Н. 1906. ст. 240).

აუცილებლად მიგვაჩნია, შევეხოთ ტრუბეცკოის დამოკიდებულებას ევროპის მიმართ, რომელიც მკვეთრად ნეგატიურია და დღესაც რუსულ პოლიტელიტას მსგავსი დამოკიდებულება გააჩნია დასავლეთის მიმართ.

ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ მოსკოვური სახელმწიფოებრიობის წინ, იდგა ისეთი ამოცანა, რომელიც უცნობი იყო მონღოლური მონარქიისათვის, ეს იყო თავდაცვა ევროპისაგან.

ტრუბეცკოი, ნეგატიურად არის განწყობილი *პეტრე პირველის* პიროვნების მიმართ, რადგან მისი აზრით, მან არამხოლოდ გადმოიღო ევროპული ყაიდის სამხედრო ტექნიკა, არამედ მისთვის ევროპეიზაცია გახდა თვითმიზანი, საგარეო სიძლიერე ნაყიდი იყო ევროპის მიერ რუსეთის სრული კულტურული და სულიერი დამონების ფასად. პეტრე პირველმა მიაყენა რუსულ ნაციონალურ გრძნობას ყველაზე მძიმე შეურაცყოფები და დანგრია ის ბურჯები,

რაზეც იდგა რუსეთის შინაგანი სიძლიერე. ,,პეტრე პირველიდან იწყება ახალი პერიოდი, რომელსაც შეიძლება დავარქვათ ანტინაციონალური მონარქიის პერიოდი'' (Трубецкой, Н. 1906. ст. 244).

თუ მაგალითად, პეტრესა და მისი მემკვიდრე მმართველებისათვის იდეალს წაროადგენდა რუსული ,,მასალისაგან'' დიადი და ძლიერი ევროპული ზესახელმწიფოს შექმნა, საბჭოთა ხელისუფლება იმავე მასალებით ცდილობს სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობენ ევროპელი სოციალისტები. ანუ გამოდის, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა, იმდენად რამდენადაც ორივე შემთხვევაში იდეალი არის ნასესხები და არ გამომდინარეობს რუსული იდენტობისაგან (Трубецкой, Н. 1906. ст. 249) აქედან გამომდინარე, ტრუბეცკოი ასკვნის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა თუ მოწინააღმდეგე, არამედ შეგნებული გამგრძელებელია იმ ანტინაციონალური ევროპეიზაციური პოლიტიკის, რომელიც დაიწყო პეტრეს მმართველობიდან. ამის მთავარ მიზეზად, ტრუბეცკოი ასახელებს კომუნიზმს და შესაბამისად, თვლის, რომ თუ საბჭოთა ხელისუფლება იტყვის უარს კომუნიზმისაგან, რომელიც თავისი არსით, ასევე ევროპის პირმშოა, მაშინ გაქრებოდა საბჭოთა ხელისუფლების კავშირი ევროპულ ცივილიზაციასთან და დაიწყებოდა მუშაობა რუსეთის ნაციონალურ-ისტორიული ყოფიერების განვითარებისათვის. ,,ეს იქნებოდა რუსულ ისტორიაში ახალი ერის ნამდვილი დასაწყისი, ერა ნაციონალურ-ისტორიული ამოცანების გააზრებული განხორციელების და ერა ახალი კულტურის შექმნის არა ევროპული ნიმუშის ან რეცეპტის მიხედვით, არამედ შიგნიდან, რეალური რუსეთის ნაციონალურ-ისტორიული ამოცანებისა და თავისებურებების მიხედვით... რუსეთი, როგორც რევოლუციამდე, დღესაც რჩება ევროპული ცივილიზაციის პროვინციად, და ამავდროულად, საცდელ ველად ევროპელი მეოცნებე-პუბლიცისტების რისკის შემცველი ცდების საწარმოებლად.

ტრუბეცკოი აკეთებს გარკვეულ პროგნოზებსაც რუსეთის მომავლის შესახებ. რუსეთის მომავალი მას წარმოუდგენია შემდეგნაირად: საერთაშორისო პოლიტიკაში რუსეთი იქნება ჩინგიზ ყაენის მემკვიდრეობის მცველი, არ ეცდება გადაქცევას ევროპულ ზესახელმწიფოდ, პირიქით, ყველა შესაძლო გზით ეცდება გამიჯვნას ევროპისა და ევროპული ცივილიზაციისაგან. ტრუბეცკოი არ გამოიცხავს რუსეთის მხრიდან ევროპული ტექნოლოგიების გადმოღებას, თუმცა რაც შეეხება ევროპულ მსოფლმხედველობასა და კულტურას, რუსეთი ყველა შესაძლო გზით მისგან აბსტრაგირდება. უფრო მეტიც, რუსეთს არ ეყოლება და არც არასდრო ყავდა ჭეშმარიტი მოკავშირე ევროპაში. ამასთანავე რუსეთმა არ უნდა შეიერთოს ისეთი ქვეყნები, რომლებიც არ შედიან ევრაზიის გეოგრაფიულ საზღვრებში(Трубецкой, Н. 1906. ст. 264).

რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, ტრუბეცკოის აზრით, მომავალ რუსეთს უნდა ახსოვდეს წარსული. და ის ცნობილი პრინციპები, რაზეც იგებოდა ცხოვრება, ჩინგიზ ყაენისა და პეტრემდელი მოსკოვის რუსეთში, შეიძლება საფუძველში დაყენდეს ქვეყნის მომავალი მშენებლობის. ასეთ მნიშვნელოვან პრინციპებად მიიჩნევს: მჭიდრო კავშირს კერძო ყოფას, სახელმწიფოებრიობასა და რელიგიას შორის. მიიჩნევს, რომ ანტირელიგიური სახელმწიფოებრიობა მოგონილია მხოლოდ ევროპელების მიერ. ჯანსაღი ადამიანი ყოველთვის რელიგიურია (Трубецкой, Н. 1906. ст. 266).

ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ რუსეთ-ევრაზიას მოუწევს სრულიად ახალი კულტურის, ევროპული ცივილიზაციისაგან განსხვავებული კულტურის შექმნა. ,,და ეს გახდება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ იქნება აღმოფხვრილი ევროპული ცივილიზაციითა და ევროპაში გამოგონილი იდეოლოგიებით გატაცება, როდესაც რუსეთი შეწყვეტს ევროპული ცივილიზაციის მრუდე სარკედ ყოფნას, შეიძენს თავის საკუთარ ისტორიულ სახეს და ხელახლა გახდება თავისთავადად (сама собой) -

რუსეთ-ევრაზიად, შეგნებულ მატარებლად და მემკვიდრედ ჩინგის-ყაენის დიადი მემკვიდრეობის" (Трубецкой, Н. 1906. ст. 270).

დასკვნა

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა მკაფიოდ ატარებს იმპერიულ და რევიზიონისტულ შინაარსს, რომელიც თავისი იდეოლოგიური საფუძვლებით ღრმად ფესვგადგმულია რუსულ პოლიტიკურ ფილოსოფიაში. ევრაზიელობისა და სლავიანოფილობის კონცეფციები, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული დოქტრინები, ქმნიან იმ ინტელექტუალურ და იდეოლოგიურ საყრდენს, რომელზეც დგას რუსეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკური დისკურსი.

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციები (2000, 2008, 2014, 2023) პირდაპირ ასახავენ ამ იდეოლოგიურ მემკვიდრეობას. კონცეფციებში საერთაშორისო ურთიერთობები აღიქმევა ძალთა ბალანსის პრიზმაში და დასავლურ ლიბერალურ წესრიგს უპირისპირდება პოლიტიკური რეალიზმის პრინციპები.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციების შინაარსობრივი ტრანსფორმაცია პირდაპირ ასახავს იმპერიული წარსულის განახლებისკენმიმართულ იდეოლოგიურ და სტრატეგიულ მცდელობებს, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და თავისუფლებას, არამედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო წესრიგსაც.

ბიბლიოგრაფია

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია.(2000). https://docs.cntd.ru/document/901764263

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია.(2008). http://kremlin.ru/acts/news/785

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია.(2013). http://static.kremlin.ru/media/events/files/41d447a0ce9f5a96bdc3.pdf

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონ-ცეფცია.(2016).http://www.kremlin.ru/acts/bank/41451/page/4

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფ-ცია.(2023). http://www.kremlin.ru/acts/bank/49090

Morgenthau, H. J., & Thompson, K. W. (1985). Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace (6th ed.). New York: McGraw-Hill.

Aron, L. (2016, December 15). Changing Putin's Mind: How Trump Can Reshape Russian Foreign Policy. Foreign Affairs.

Lo, B. (2018). Chutzpah and realism: Vladimir Putin and the making of Russian foreign policy (Russie.NEI.Visions No. 108). French Institute of International Relations (IFRI).

Eltchaninoff, M. (2018, February). Inside the mind of Vladimir Putin (208 pp.).

Ильин, И. (2018). Наши задачи.

Трубецкой, Н. (1920). Европа и человечество.

Трубецкой, Н. (1925). Взгляд на русскую историю не с Запада, а с Востока.

Aleksandre Melikidze

The Ideological Foundations of Russia's Expansionist Policy in Russian Political Philosophy and Concepts

Abstract

This study explores the ideological roots of the Russian Federation's expansionist foreign policy, arguing that modern Russian revisionism is a direct product of long-standing political-philosophical traditions. The research focuses on the transition from the post-Soviet geopolitical vacuum to the restoration of imperial ambitions, primarily through the instrumentalization of the works of Konstantin Leontiev, Nikolai Trubetzkoy, and Ivan Ilyin.

By employing qualitative document analysis, the paper demonstrates how Leontiev's "Byzantinism," Trubetzkoy's "Eurasianism," and Ilyin's concept of a "Strong State" have been integrated into Russia's official foreign policy concepts (2000–2023). These philosophical frameworks provide the "logical" justification for the rejection of Western liberal order, the creation of a "multipolar" balance of power, and the assertion of a "privileged sphere of interest" in the post-Soviet space. The study concludes that the romanticization of the Soviet past and the construction of a "permanent enemy" image serve as essential tools for domestic consolidation and the legitimation of territorial annexations in Georgia, Ukraine, and Moldova, posing a systemic challenge to global security architecture.

Keywords: Russian Foreign Policy, Post-Soviet Space, Eurasianism, National Securit, Expansionism.